

ინფორმაცია
საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაციის
ქ.მაიაში (აშშ) გამართული საერთაშორისო კონფერენციის
მუშაობაში მონაწილეობის შესახებ

საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაცია მონაწილეობდა 2009 წლის 18-22 მაისს ქ. მაიაში (ფლორიდის შტატი, აშშ) გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში. კონფერენცია ჩატარდა თემაზე: „ქვეყნის პერსპექტივები გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს“ და მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 38 ქვეყნის წარმომადგენელმა.

აღსანიშნავია, რომ ქართველი მონაწილეები აქტიურად ჩაებნენ კონფერენციასა და მის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში.

სამშაბათს, 19 მაისს, კონტროლის პალატის წარმომადგენლებმა ინტერვიუ მისცეს Grant Thornton LLP-ის წარმომადგენელ ლაილა აფასს. საუბარი შეეხო შემდეგ თემებს:

1. გზა სახელმწიფო ფინანსური მენეჯმენტის რეფორმისკენ;
2. ფინანსური მენეჯმენტის ლიდერების როლი;
3. გამჭვირვალობა;
4. გლობალურ ეკონომიკურ გაურკვევლობასთან ბრძოლა.

ოთხშაბათს, 20, მაისს, გაიმართა დისკუსია. ჯგუფებად დაყოფილი მონაწილეები განიხილავდნენ სხვადასხვა საკითხს. საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაცია მონაწილეობდა სერბეთის, კანადისა და უგანდის წარმომადგენლებთან ერთად შემდეგი საკითხის განხილვაში: „თქვენმა ქვეყანამ დაიწყო თუ არა რეფორმები? თუ ასეა, როგორ აპირებთ რეფორმების შენარჩუნებას?“ აღსანიშნავია, რომ ქართველი მონაწილეები სხდომაზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდნენ.

ვიზიტისას დელეგაციის წევრებს შეხვედრები ჰქონდათ აშშ-ის სამთავრობო ანგარიშგების ოფისის (GAO), მსოფლიო ბანკის, Grant Thornton LLP-ის, FreeBalance Inc.-ის, Casals & Associates, Inc., Graduate School-ის, სერბეთის, პაკისტანის, საფრანგეთის, კანადისა და გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლებთან. შედეგად: შესაძლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე წარიმართა საუბარი პაკისტანის გენერალური აუდიტორული ოფისის დირექტორთან, უმარ ზაფარ შეიხთან.

როგორც აღმოჩნდა, Casals & Associates, Inc-ის გუნდი რამდენიმე კვირის წინ იყო თბილისში და შეხვდნენ დონორებსა და ადგილობრივ წარმომადგენლებს. აღნიშნული ორგანიზაცია გეგმავს, რომ ახლო მომავალში კიდევ ესტუმროს საქართველოს დედაქალაქს და როგორც

Casals & Associates, Inc-ის დირექტორმა ლორენს უოთმა განაცხადა, სურვილი აქვთ ეწვიონ კონტროლის პალატას.

კონფერენციაზე მუშაობა შემდეგი დღის წესრიგით წარიმართა:

ორშაბათი, 18 მაისი, 2009 წ.

1. „ფაქტორები, რომლებმაც გამოიწვია გლობალური ფინანსური კრიზისი.“

დევიდ მ. უოკერი, Peter G. Peterson Foundation, პრეზიდენტი და მთავარი აღმასრულებელი პირი, აშშ-ის სამთავრობო ანგარიშგების ოფისის ყოფილი

გენერალური კომპროლერი.

2. „ეკონომიკური პერსპექტივის მიმოხილვა.“

რობერტ ვოსი, განვითარების პოლიტიკისა და ანალიზის განყოფილება, ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტი, გაერო.

3. „ფინანსური სექტორის სტრატეგიები სახელმწიფო ფინანსური მენეჯერებისთვის.“

პოლ ლეონოვიჩი, საბანკო და ფინანსური მომსახურების ასოცირებული დირექტორი, ტექნიკური დახმარების ოფისი, აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტი;

დებრა ს. ვონ კოჩი, სახელმწიფო ვალის გაცემისა და მენეჯმენტის ასოცირებული

დირექტორი, ტექნიკური დახმარების ოფისი, აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტი.

4. „როგორ შეცვალა ფინანსურმა კრიზისმა ბაზარი სახელმწიფო და კერძო პარტნიორობისთვის (PPPs).“

ფილიპ დრაპაკი, უფროსი სპეციალისტი, მსოფლიო ბანკი;

ენდი უინი, სახელმწიფო სექტორის ფინანსური მენეჯმენტის სპეციალისტი.

სამშაბათი, 19 მაისი, 2009 წ.

პრეზენტაციები:

1. „ფინანსური კრიზისი, ქსელი და ინფორმაციის მომავალი.“

როლფ როსენკრანცი, რედაქტორი, განვითარების აღმასრულებელი ჯგუფი.

2. „ქვეყნის პასუხები ფინანსურ კრიზისს.“

ბექსეტ ბრაჯშორი, მინისტრის მოადგილე, ეკონომიკისა და ფინანსთა

სამინისტრო, კოსოვოს რესპუბლიკა;
ლულზიმ ისმაჯლი, სახაზინო სამსახურის უფროსის მოადგილე,
ეკონომიკისა და
ფინანსთა სამინისტრო, კოსოვოს რესპუბლიკა;
ნაომი ნგუირა, დირექტორი, ვალებისა და დახმარების დეპარტამენტი,
ფინანსთა
სამინისტრო, მალაუი;
ობადიაჰ მაილაფია, თავმჯდომარე, პოლიტიკისა და მეკონომიკის
კვევითი
ცენტრი, ნიგერია.

3. „მთავრობა ინფორმირებული მოქალაქეებისთვის.“

ერნესტო საბოია, პრეზიდენტი, საანგარიშო პალატა, ჩრდილოეთი
ბრაზილია;

ნანდალა მაფაბი ნათანი, თავმჯდომარე, სახელმწიფო საანგარიშო
კომიტეტი,

უგანდის პარლამენტი;

თინდამანიარე კაბონდო გაუდიოსო, პარლამეტის წევრი, უგანდის
პარლამენტი;

ვივეკ რამკუმარი, მენეჯერი, საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობა,
ღია

საბიუჯეტო ინიციატივა.

4. „ბიუჯეტის გაჟონვასთან ბრძოლა.“

მაჰმუდ რაშიდ აბრაჰამ ალ ტაიე, ვიცე-პრეზიდენტი, უმაღლესი
აუდიტის საბჭო,

ერაყის რესპუბლიკა;

ალაა ჰატენ კადუმი, გენერალური დირექტორი, უმაღლესი აუდიტის
საბჭო,

ერაყის რესპუბლიკა;

მარუან მოჰამედ ჰასანი, გენერალური დირექტორის მოადგილე, ერაყის
რესპუბლიკა;

ჰუსამუდდინ ჰიკმატ აბდულსატარი, თარჯიმანი.

ოთხშაბათი, 20 მაისი, 2009 წ.

1. „საფინანსო დაგეგმარება კრიზისის დროს: კანადის პერსპექტივა
სტიმულის პაკეტის შესახებ.“

კევინ პეიჯი, პარლამენტის საბიუჯეტო მოხელე, კანადის პარლამენტი.

არჩევითი სესია:

„გენერალური კომპროლოერების ახალი საერთაშორისო
ორგანიზაცია.“

აღნიშნული, სავარაუდოდ, იქნება ქვეყნის აღმასრულებელი შტოს ფინანსური მენეჯმენტის აღმასრულებელი ორგანიზაცია, იდეა ჯერ მხოლოდ ჩანასახშია და დამოკიდებულია დამსწრეთა გამოკითხვის შედეგებზე.

ხუთშაბათი, 21 მაისი, 2009 წ.

1. „ფინანსები და ტექნოლოგია უფრო ეფექტიანი სისტემებისთვის - მთავარი

საფინანსო მოხელის პერსპექტივა.“

ქრისტინ უოკერი, მთავარი ფინანსური მოხელე, კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტო.

2. „ფინანსური რისკები: წყაროები, ინფორმაციის გაცემა და მენეჯმენტი.“

რიკარდო ველოსო, განყოფილების უფროსის მოადგილე, ფინანსურ საქმეთა

დეპარტამენტი, საერთაშორისო განვითარების ფონდი (IMF).

3. სემინარი 1: „სახელმწიფო დანახარჯების ფინანსური ანგარიშვალდებულების

(PEFA) შეფასება.“

ფრანს რონშოლტი, ხელმძღვანელი, PEFA სამდივნო;

ფრანკ ბესეტი, სახელმწიფო ფინანსური მენეჯმენტის (PFM) ექსპერტი, PEFA

სამდივნო.

4. სემინარი 2: „სახელმწიფო დანახარჯების ფინანსური ანგარიშვალდებულების

(PEFA) შეფასება.“

ფრანს რონშოლტი, ხელმძღვანელი, PEFA სამდივნო;

ფრანკ ბესეტი, სახელმწიფო ფინანსური მენეჯმენტის (PFM) ექსპერტი, PEFA

სამდივნო.

პარასკევი, 22 მაისი, 2009 წ.

1. „სახელმწიფო შესყიდვების რეფორმა და მნიშვნელობა მიმდინარე ეკონომიკურ კლიმატში.“

პამელა ბიგარტი, შესყიდვების მთავარი სპეციალისტი, მსოფლიო ბანკი.

2. „OECD/DAC შესყიდვების შეფასების ხელსაწყო შეფასება.“

პამელა ბიგარტი, მთავარი შესყიდვების სპეციალისტი, მსოფლიო ბანკი.

3. „შესყიდვის საქმის განხილვა - ჩილე.“

ჯორჯ კლარო, პრეზიდენტი და მთავარი აღმასრულებელი მოხელე,
საერთაშორისო შესყიდვების ინსტიტუტი.